ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 263
1877

ივერია

№ 263
1903

დეკემბერი 10, ოთხშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დეკემბერი 10, ოთხშაბათი 1903 წ.

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 **წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ** ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, **დაურიგდებათ პრემიად** გრაფ **ლ. ნ. ტოლსტოის რომანი** „აღდგომა“ („Воскресеніе“),

5 მანეთად ტფილისში და 7 მანეთად ტფილისს გარეშე დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: **სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს.**

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—«ივერიის» რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
საბუნჩაში:—პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ხასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ განდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ანასტასია იასონის ასული გულისაშვილისა, მღვდ. ზაქარია გულისაშვილი და ძმები მისნი—სოზონ და ილარიონ გულისაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველი საყვარელი ქმრის და მეორენი მამის

მღვდლის მიხეილ ზაქარიას ძე გულისაშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ დაფლავების დღეს 11 ამა დეკემბერს, ს. საგარეჯოში, პეტრე-პავლეს ეკლესიაში.

მარიამ ზაქარიას ასული და ალექსანდრე ზაქარიას ძე გაბაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას მათის ძმისას

დავით ზაქარიას ძის გაბაშვილისას

ცხედარს გამოასვენებენ ტფილისის სააავადმყოფოდგან სამების ეკლესიაში 10 დეკემბერს, დილის 9½ საათზედ. (1 1)

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ.

(წელიწადი მეცხრე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—6 მან., 6 თვით—4 მან., 1 თვით—50 კაპ.	1 წლით—9 მან., 6 თვით—5 მან., 1 თვით—90 კაპ.

თვიურ ხელის-მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მანეთი, დანარჩენიც 1-ს მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეთერთმეტე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მან., 6 თვით—6 მან., 3 თვით—3 მან.	1 წლით—13 მან., 6 თვით—7 მან., 3 თვით—5 მან.

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისთანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1 აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე «მოამბის» მხოლოდ წლიურ ხელის-მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

ალ. ყაზბეგისა.

1904 წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა «საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში». დასურათება დაიწყება გურიიდან. სურათები იქმნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ.

გარდა ამისა „მოამბის“ ხელის-მომწერთ გაეგზავნებათ

ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის-მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციას ფოსტის ხარჯათ 55 კაპ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ, 25 დეკემბრამდე დაიკვეთონ, რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакц. „Моамбе“ и „Цнобисъ Пурцели“.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების.

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აქვს

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლე ფოტოგრაფი გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელაძე.**

ქუთაისის

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 11 დეკემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

I

ჭირვეული ცოლის მორჯულება

კომედია 5 მოქმ. შექსპირის, თარ. კ. მესხისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ა. კარგარეთელისა, ნ. ყიფიანისა, მ. მდივანი, ა. რონელი. ბ-ნნი: ლ. აწყურელი, თუთბერიძე, გ. გუნია, ჩარკვიანი, ვ. გამყრელიძე, კ. მესხი, ჩარკვიანი, ზარდალიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ალექსი-მესხიშვილი.

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ხუთშაბათს, 11 დეკემბერს 1903 წ.

მის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქმნება

ოტელლო

ოპერა 4 მოქ. მუს. ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: რენე-რადინა, კარრი; ბ-ნნი: ფიგნერი, რაისკი, ილიუშჩენკო, გლადკოვი, რჟანოვი, კლიუზნერი, გავრილოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ესპოზიტო

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

პარასკევს, 12 დეკემბერს წარმოდგენა არ იქნება.

შაბათს, 13 დეკემბერს, მე-12 გალა-წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება ახალი ოპერა «კამორრა» 3 მოქ., მუს ე. დ. ესპოზიტოსი.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

პარასკევს, 12 დეკემბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ

ნ. ნ. ე. ქობულაშვილის სახლში, გრიბოედოვის ქუჩ. № 23 (არშაკუნისეული).

გამართული იქნება

ბალი (მეჯლისი)

დიასახლისობა ამ საღამოს ინება და იკისრა უგანათლებულესმა კნეინა თ. დ. გრუზინსკისამ.

ბილეთები ისყიდება ქართულ თეატრის კასაში.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მალალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მალალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ჰ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ვ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. ავანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი, 10 დეკემბერი.

რამდენისამე დღის წინად ჩვენს გაზეთში დავბეჭდეთ წერილი ბ-ნ ლაშვარიჯვრელისა ამ სათაურით: «დიდი ნაკლი ჩვენის სამრევლო სკოლებისა». წერილის ავტორი ჰგოდებს დიდის გოდებით და სამოსწავლო საბჭოს სამრევლო სკოლებისას უხმობს, რათა მან ფიცხლავ დაუყოვნებლივ ააცილოს თავიდგან ამ სკოლებს ერთი დიდი ნაკლი. რაში მდგომარეობს იგი? ვითომც ლოცვანი თითქმის არ მოიპოვებოდეს ქართულს ენაზე და მოსწავლე ქართველობა მოკლებული იყოს შეძლებას—ღვთის ვედრებაში გავარჯიშდეს, განმტკიცდეს. წავიკითხეთ ეს წერილი და ჩვენს გონებაში უნებლიედ გაიელვა ქართულმა ანდაზამ: ყვავს თვალსა სთხრიდნენ და იგი წამწმებსა სწუხდაო.

ჯერ ერთი ესა, რომ ჩვენი ავტორის საჩივარი ყოვლად უსაფუძვლოა. ქართულს ენაზე არსებობს არა ერთი, არამედ რამდენიმე სრული ლოცვანი. არის ლოცვანი ბ-ნ იოსელიანისა (რასაც თითონ ლაშვარიჯვრელიც იხსენიებს), არის ლოცვანი დეკანოზის ლამბაშიძისა, შარაძისა, და კიდევ სხვებისა. მაშასადამე ამ მხრივ უზრუნველ ყოფილა ჩვენი სამრევლო სკოლა. მაგრამ სხვა

მხრივ და ძალიან საარსო მხრივაც იგი ამ ჟამად არის დაავადებული. აი რასა გვწერს ცხინვალიდან ერთი იქაური ბინადარი.

„ამას წინად ტირძნისში გახლდით, სადაც არსებობს ესრედ წოდებული მეორე კლასის სკოლა და სადაც ჩემი გერი სწავლობს. მხოლოდ პირველს წელიწადს ასწავლიან „დედა-ენაში“ ზოგიერთა მოთხრობებსა და ლექსებსა სასულიერო შინაარსისას. მეორე წლიდან აკითხებენ ქართულს სახარებას ტექსტში. მესამე წლიდან მხოლოდ ხუცურად დავითნსა და ჟამნსა.

ამ თვრამეტის წლის წინად, სახელდობ 1885 წელს, მაშინდელმა ექსარხოსმა პავლემ და ყოფილმა მზრუნველმა იანოვსკიმ შეადგინეს ჩვენებურ სამრევლო სკოლებისათვის სამოსწავლო გეგმა, რომლის ძალით ქართულის ენის სწავლებას ნარგუნები ჰქონდა ყოველს განყოფილებაში დღეში ორი გაკვეთილი, სამსავე განყოფილებაში კვირაში 36 გაკვეთილი...

როცა ქართულს ენას ასწავლიდნენ ამ გეგმით სამსავე განყოფილებაში და ახმარებდნენ 36 გაკვეთილს, მაშინაც-კი ძლივს-ძლივობით იმართებოდნენ მოწაფენი ქართულს წერა-კითხვაში და ზოგიერთს, სკოლის დატოვების შემდეგ, სრულიად ავიწყდებოდათ ქართული წიგნი. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შედეგი მოჰყვება ახალს, წესსა. რასაც ბავშვი პირველს განყოფილებაში ისწავლის „დედა-ენიდგან“, იგი შემდეგს განყოფილებაში დაავიწყდება სავსებით და სკოლიდგან გამოიტანს სრულს უცოდინარობას ქართულის წიგნისას...

ტფილისი

⁂ გუშინ-წინ, 8 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოს მორიგი კრება იყო. კრებას პირველად მოხსენდა, ლ. ფ. ტიგრანოვი ქალაქის გამგეობის წევრად არჩეულ იქმნა ქალაქის საბჭოს მიერ, მაგრამ გუბერნატორმა ამ თანამდებობაზე არ დაამტკიცაო. თავმჯდომარე შეეკითხა კრებას, როდის ავირჩიოთ გამგეობის წევრი ლ. ფ. ტიგრანოვის მაგივრადაო. კრებამ დაადგინა, არჩევანი დაინიშნოს ქალაქის საბჭოს პირველსავე კრებაზე. ეს კრება დანიშნულია დღესასწაულების შემდეგ, ე. ი. იანვრის შუა რიცხვებში და მანამდე-კი ძველი წევრი შეასრულებს ამ თანამდებობას.

⁂ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი ერთის თვით პეტერბურგში მიდის სატეხნიკო და პროფესიონალურ მოღვაწეთა მესამე კრებაზე დასასწრებლად. დირექტორს სამგზავროდ ქალაქის კასიდან 300 მანეთი ეძლევა. კავკასიის სამოსწავლო ოლქის განკარგულებით, დირექტორის თანამდებობას შეასრულებს ამავ სკოლის მასწავლებელი ბ-ნი კატანიანცი.

⁂ თავისს უკანასკნელს კრებაზე კავკასიის საიმპერატორო არხეოლოგიურმა კრებამ მოისმინა პირველ გიმნაზიის მასწავლებლის მოხსენება ნაქალაქევისაკენ მოგზაურობის შესახებ და ლალაევის მოკლე ანგარიში ზანგეზურის მაზრაში მოგზაურობისა. კრებამ დაადგინა, ეს ორთავე მოხსენებანი დაიბეჭდოს თითო 500 ეკზემპლიარად. ამავ დღეს კრებამ საზოგადოების ნამდვილ წევრებად აირჩია: ყოვლად სამღვდელო დიმიტრი, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი, თავ. მ. მ. დადიანი, მ. ი. მომცელიძე და დ. პ. ჭარაია.

⁂ ქალაქის გამგეობის მიერ არჩეული იყო საგანგებო კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ადგილის მოძებნა ქალაქის საზოგადო საავადმყოფოს შენობის ასაგებად. კომისიას კრება ჰქონდა ამ დღეებში და დაადგინა, ავლაბარში აშენდეს საავადმყოფო. საავადმყოფოში უნდა დაიდგას 800 საწოლი. ამ გადაწყვეტილებას ქალაქის საბჭო ჩქარა განიხილავს.

⁂ ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიას ამ დღეებში კრება ჰქონდა. კომისიის თავჯდომარემ ბ-ნმა ევანგულოვმა მოახსენა კრებას, ხორცის დუქნების მმართველმა ნ. ა. ალიხანოვმა ქაღალდი შემოიტანა, რომლიდანაც სჩანს, რომ მას აღარ უნდა ხორცის დუქნების მეთვალყურედ იყოს, რადგან კომისიამ ჩემი უფლებანი ერთობ შეზღუდაო. კრებამ დაადგინა, მადლობა გამოეცხადოს ნ. ა. ალიხანოვს იმ შრომისათვის, რომელიც მიუძღვის ხორცის დუქნების მოწყობის საქმეში.

⁂ სეკდემბრის განმავლობაში ტფილისის ქალაქის ხორცის დუქნებში დაუკლავთ 20,227 მ. 93 კ. საქონელი. წმინდა მოგება დარჩენიათ 1,026 მ. 50 კ.

⁂ ქალაქის სასწავლებელთა კომისიას ამ დღეებში კრება ჰქონდა. კომისიამ თვითოეულს თავისს წევრს დაავალა, რომ თვალყური ადევნონ ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებს. თავ. დ. ნ. თუმანოვმა თვალყური უნდა ადევნოს ამაღლებისა და სოლოლაკის სკოლებს, პ. მ. დოლუხანოვმა კუკიის პირველს და მეოთხე პირველ დაწყებით სკოლებს, ს. დ. ლისიციანმა ჩუღურეთისა და პუშკინის სახელობის მეორე სკოლას.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ უკანასკნელ თავის კრებაზედ დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს სან-ლუის მსოფლიო გამოფენაზე. სამეურნეო საზოგადოებამ დაავალა თავისს მდივანს ბ-ნს ე. იოსელიანს შეჰკრიბოს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა კოლლექციები და გაჰგზავნოს მსოფლიო გამოფენაზე რუსეთის განყოფილებაში დასაწყობად. ე. იოსელიანი უკვე გაემგზავრა კოლლექციების შესაკრებად განჯის გუბერნიაში.

⁂ ტფილისის საგუბერნიო მკურნალის უფროსი თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი სამკურნალო-სანიტარო მართველობამ კახეთისაკენ გაჰგზავნა. ბ-ნმა მაჭავარიანმა უნდა დაათვალიეროს სასოფლო ქსენონები თელავისა, სიღნაღისა და თიანეთის მაზრებში.

⁂ 27 ნოემბერს სახაზინო თეატრში საოპერო წარმოდგენა იყო გამართული ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ. ბილეთების გაყიდვით და პრემიებით შესულა კასაში 1,674 მანეთი 60 კაპ., სულ დახარჯულა 727 მანეთი 81 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩენილა 946 მანეთი 97 კაპ.

⁂ პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი ნაფიცი ვექილი ე. ი. კედრინი.

⁂ სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა ბ-ნმა სტეპანოვმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ქალაქის საავადმყოფოს ექიმი ქალი ივანოვისა პეტერბურგში გაჰგზავნეთ ბებიათა კრებაზე დასასწრებლადაო. სამგზავროდ ივანოვის ქალს 150 მანეთი მიეცითო.

⁂ დღეს, 10 დეკემბერს ქუთაისში დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა კრება. კრებამ სხვათა შორის უნდა აირჩიოს თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლი და რამდენისამე მაზრის წინამძღოლნიცა.

⁂ როგორც მკითხველთ ვაუწყეთ, ტფილისის ქალაქის თავმა არ შეიწყნარა ხმოსნის თამამშევის თხოვნა. თამამშევი სთხოვდა, ნება მიეცით გაზეთის წარმომადგენელთ გამგეობისა და კომისიის კრებაზედ დასწრებისაო. ბ-ნს თამამშევს აზრად აქვს ამავ საგნის შესახებ განცხადება ტფილისის ქალაქის საბჭოს წარუდგინოს.

⁂ შავის ზღვის პირად, სოჭიდგან ახალ ათონამდე და თუაფსედგან ნოვოროსიისკამდე ახალ გზატკეცილის გაყვანა განუზრახავთ. გზა ტკეცილის გაყვანას აპირებენ ბათუმიდან არდაგანამდეც.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, 5[illegible]1 მანეთი გადასდოს ქალაქის ლომბარდის შენობის შესაკეთებლად.

⁂ ორს დეკემბერს ხარკოვში ქართული საღამო გაუმართავთ ხარკოვში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს. საღამოს ხალხი ბლომად დასწრებია. სტუდენტებს რამდენიმე სიმღერა უთქვამთ უჩვენებიათ ამავ საღამოზედ საზოგადოებისათვის ორი ცხოველი სურათი „ვეფხის ტყაოსნი“-დან. ხალხი, რომელიც დილის 4—5 საათზედ დაშლილა, ერთობ ნასიამოვნები დარჩენილა საღამოთი.

⁂ ზემოხეთის საზოგადოების,—ოზურგეთის მაზრა, სოფლებში გაჩენილა ყვავილი, რომელსაც უკვე უმსხვერპლია რამდენიმე კაცი. საჭიროა ღონისძიებათა მიღება დაუყოვნებლივ.

⁂ სოფ. ნოღაში (ქუთაისის მაზრა) ამ ჟამად მძვინვარებს კისერა, რომელმაც უკვე იმსხვერპლა რამდენიმე სული. დაუყოვნებლივ საჭიროა ამ სენთან საბრძოლველად რამე ღონისძიების მიღება.

† დეკანოზი დიმიტრი მახათაძე.

[illegible] 7 [illegible] ხოს სასაფლაოზე შავ მიწას მიაბარეს დეკანოზი მამა დიმიტრი მახათაძე. განსვენებულმა სწავლა დაამთავრა ტფილისის სასულიერო სემინარიაში 1854 წელს და იმავე წელს გამწესებულ იქმნა მღვდლად სოფ. პრიუტში. მამა დიმიტრის სამრევლო შესდგებოდა მრავალის სოფლისაგან, რომელნიც ურთიერთიდამ კარგს მანძილზე არიან დაშორებულნი. მამა დიმიტრის სამრევლოში სცხოვრობდნენ ნახევრად ქრისტიანი ქართველი მთიულები, რომელთ შორის სახარების შუქი შეიტანა ამ მოძღვარმა; ბევრი წარმართთაგანი მოაქცია ქრისტეს სჯულზე. არავითარს ჯაფას არ ერიდებოდა განსვენებული მოძღვარი თვისთა მოვალეობათა შესრულების ჟამს განსვენებულის წირვა-ლოცვა ქართულსა და სლავიანურს ენაზე გათქმული იყო; საეკლესიო გალობაც ზედმიწევნით იცოდა. თვის სამრევლოში მან დააარსა საეკლესიო სკოლა, რომლის გამგედ თვით ითვლებოდა. სკოლაში საღმრთო სჯულს და ერთხანად საეკლესიო გალობასაც იგი ასწავლიდა.

სამაგალითო მხნეობით ნივთიერ საშუალებათა მოკლებულმა მოძღვარმა თვისი შვილები წესიერად აღზარდა და სხვა-და-სხვა სასწავლებლებში სწავლა დაამთავრებინა. ამ ბოლოს დროს თვის ობოლს შვილიშვილებს თავის ხარჯით ინახავდა და ზრდიდა...

გარდაიცვალა შობიდამ 70 წლისა. დიდხანს ეხსომება თვისი ღმობიერი და საყვარელი მოძღვარი მის მრევლსა, რომელსაც მეტად გული დასწყვიტა მისმა გარდაცვალებამ.

საუკუნოდ იყოს ხსენება და კურთხევა შენი, კეთილო მწყემსო, მამა დიმიტრი, რომელიც სიცოცხლეს შენსა არ ზოგავდი შენთა სულიერთა ცხოვართათვის.

ი—ძე.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მომავალ კრების საყურადღებოდ.

აგერ მესამე წელიწადია, რაც ამერეთისა და იმერეთის თავად-აზნაურობას უმაღლესად ებოძა ორმოცი ათასი მანეთი ყოველ წლობით და, როგორც იყო, შემდეგ ხანგრძლივის კამათისა პრესსაში და კერძოდ, პრინციპიალურად გადასწყვიტა ამერეთის თავად-აზნაურობამ დაარსოს საშუალო სამეურნეო სასწავლებელი ამასთანავე წინადადება მისცა იმერეთის თავად-აზნაურობას, თქვენც შემოგვიერთდით და დავიარსოთ საერთო სასწავლებელიო. იმერეთის თავად-აზნაურობამ თანხმობა გამოუცხადა ხმის უმრავლესობით და ამოირჩია იმ კომისიის წევრნი, რომელსაც უნდა შეემუშავებინა პირობა შეერთებისა და წარედგინა, სადაც ჯერ არს.

ბ-ნმა თავმჯდომარემ ამ კომმისიისამ რამდენჯერმე მიგვიწვია, მაგრამ ერთ ხელაც ვერ შევგროვდით და დღესაც არც ერთი პირობა შემუშავებული არ არის.

ამ ნაირად, მომავალ კრებას, რომელიც დაიწყება ქუთაისში დღეს, ათ დეკემბერს, არ მოხსენდება შემუშავებული პირობანი. რა არის მიზეზი კომმისიის ამ ნაირ უმოქმედებისა—ჩვენ აქ ამ გარკვევაში არ შევდივართ, მხოლოდ ის კი გვაწუხებს—ვაი თუ ამის მიზეზით მომავალი კრება ისევ ჩვეულებრივ კვალს დაადგეს, ამოირჩიოს ისევ ახალი კომისია და შემუშავებულ პირობათა წარდგენა დაავალოს გაისისთვის და ამ ნაირად ეს საქმე ამ ხანადაც დარჩეს დაუბოლოვებელი.

რა იქნა, ბატონებო, რა არის აქ ისეთი თავსატეხი, რომ მის ახსნას წელიწადი მოუნდეთ? მადლობა ღმერთს, უპირველესი რაც იყო, ესე იგი, რა ტიპის სასწავლებელი უფრო საჭიროა თავად აზნაურთათვის, ეს უკვე აგვიხსნა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ. ახლა გვთხოვენ საერთო სასარგებლო პირობათა შემუშავებას. ამისათვის დიდი დრო არ არის საჭირო: ორი-სამი კრება და რიგიანად საქმის გარკვევა ადვილი იქნება. ამიტომ, ჩვენის აზრით, კრებამ დაუყონებლივ უნდა მიანდოს ამორჩეულ კომისიას ანუ ახალი კომისია აირჩიოს და დაავალოს კრების გათავებამდე შეიმუშაოს პირობანი და წარუდგინოს კრებას.

ამავე კრებაზედ უნდა გადაწყდეს შემდეგი საგანიც: რაში უნდა მოვიხმაროთ ოცი ათასი მანეთი იმ შემთხვევაში, თუ რომ ამერეთის თავად-აზნაურობა არ დაგვეთანხმდა და ჩვენი პირობანი არ შეიწყნარა? როგორც მახსოვს, სანამ ჩვენს მაისის კრებას ამერეთის წინადადება მოუვიდოდა შეერთების შესახებ—უმეტესობა დაბალ სამეურნეო სასწავლებლის მომხრე იყო და, მაშასადამე, ახლაც, რასაკვირველია ამაზედ შეჩერდება.

ვინ იქნება წინააღმდეგი საშუალო სამეურნეო სასწავლებლისა? ასეთი სასწავლებელი მიუცილებელი საჭიროებაა ჩვენის ქვეყნისათვის და, დღეს თუ ხვალ, უნდა დაარსდეს. მის რიგიანად მოწყობას არა თუ ასი და ორასი ათასი, ნახევარ მილიონიც არ ეყოფა, რადგანაც ჩვენის ქვეყნის ბუნება, ნიადაგი და მისი ტოპოგრაფიული, ეკონომიური და სოციალური ვითარება სხვა არის და რუსეთის სხვადსხვა კუთხის ვითარება კიდევ—სხვაა. სასწავლებელიც ამიტომ სხვანაირად არის მოწყობილი. ჩვენებურ სასწავლებელთან ისეთი სამეურნეო დარგნიც უნდა იქმნეს მოწყობილი, რომელიც თითქმის არ არსებობს რუსეთის სასწავლებელთან. ამის გამო, ვაი თუ ის ადგილი, რომელზედაც ამერლებს უნდათ სასწავლებლის მოწყობა, დაწუნებულ იქმნას სამინისტროს მიერ. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას ექნება საქმე სამიწად-მომქმედო და სახელმწიფოთ ქონებათა სამინისტროსთან ყოველთვის და მის მოთხოვნილების შესრულება შესახებ სასწავლებლისა ანგარიშ-გასაწევია. პროექტი უნდა იყოს შედგენილი თანხმად საზოგადო მოთხოვნილებისა ამ ნაირ ტიპის სასწავლებლების დაარსების შესახებ, მხოლოდ იმ ცვლილების ჩართვით, რომელსაც იწვევს განსაკუთრებული ვითარება ჩვენის ქვეყნისა.

გარდა ამისა, უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, თუ ვისთვის არის დანიშნული უმაღლესად ნაბოძები ფული. შეუძლია თუ არა ამ სასწავლებელს სარგებლობა მოუტანოს ღარიბ თავად-აზნაურობას? მაგ სასწავლებელს შეუძლიან სარგებლობის მოტანა მხოლოდ მაშინ, როდესაც გადასახადი ან სულ არ იქნება სასწავლებელში, ან იქნება სულ მცირე.

ყოველივე ეს უნდა გამოარკვიოს კომისიამ და, რაც შეიძლება, მალე. კმარა, რაც დრო დავკარგეთ და რაც ვითმინეთ სულ-გრძელობით. გაჭირვება დიდი გვადგია და, რაც მალე შევუდგებით ჩვენის საჭიროების დაკმაყოფილებას, მით უკეთესი იქნება.

ნ. მკურნალი.

ჩვენებური ამბები

ს. გუბი. სამშაბათს, 2 დეკემბერს, გუბის სკოლის დარბაზში, ბ-ნ ნესტორ წერეთლის თაოსნობით, მოჰხდა კრება საზოგადო დუქნის დაარსების შესახებ.

კრებას წესდება უნდა გაეცნო რიგიანად სხვა-და-სხვა საჭირო წვლილი გამოერკვია და გამგეობისა და საბჭოს წევრნი აერჩია.

დიდი ლაპარაკი გამოიწვია საკითხმა: მიეცეს თუ არა წევრს უფლება დუქნიდან ნისიად საქონლის გატანისა. სხვათა შორის გამოითქვა ის აზრი, რომ თუ ეს უფლება მიეცა წევრთ, ყველა ნისიად გაიტანს საქონელს, რაც დუქნის წარმოე-

---

ფელეტონი

ტერეზია

(მოთხრობა)

I

თებერვლის ცივი, მეტად სუსხიანი საღამო იყო. გამძვინვარებული ქარიშხალი გულ-შემზარავად დაფორიაქობდა, დაზმუოდა და ისედაც აუტანელ ბუნების სიმკაცრეს ერთი-ორად აჯოჯოხეთებდა. არ თოვდა, მაგრამ ძველ თოვლს, აქა-იქ ზვინებივით დაგროვებულს, ქარი აწიავებდა და იმ უმგვანო სახლებს, ანუ უკედ რომ ვსთქვათ ქოხ-მახებს, რომლებიც ქალაქ №-ს ერთ მივარდნილ ქუჩის ნაპირებზე იყვნენ ჩამწკრივებულნი,—უხვად აყრიდა დალარულ კედლებში. გულ-საკლავად კვნესოდნენ ქოხ-მახები, წუწუნებდენ მათი კედლები, თითქო მოსთქვამენო შიგ მყოფ ადამიანთა დაბეჩავებას, დაჩიავებას...

ჯერ კიდევ საღამოს შვიდი საათი არ იქმნებოდა, რომ ერთ ამ ქოხ-მახთაგანის კარმა ჭრიალი მოადინა და იქიდან გამოსულმა ახალ-გაზდა ქალმა, რომელსაც თუმცა ზამთრის ცუდი ამინდი იყო, თეთრი ჩითის კაბა-კურტკა უფარავდა სხეულს,—მაგრამ მოიჯაჯგუნა ისედაც დანჯღრეული კარი და, ბრაზ-მორეული, შემდეგი სიტყვებით შეიჭრა იქვე მეორე ოთახში.

— ოი, დეიქცა, დეიქცა ჩვენი დაბადების დღე ბარემამ, რა უბედურ დღეს ჩვენ გაუჩენივართ ი დალოცვილ ღმერთს!

ამ სიტყვების შემდეგ არ გაუვლია მეოთხედ საათს, რომ იგივე ქალი, რომელსაც ხელში პურისა და ყველის ნაჭერი ეჭირა იმავ კარებში შებრუნდა, საიდანაც ისე გულ ჩათუთქული გამოვიდა პირველად.

— ტერეზია! ჰამე, აგერ ერთ ფინჩხა პური და ყველი მოგიტანე, უთხრა მან შესვლისთანავე ლოგინზე მწოლარე ავადმყოფს, - მთელი დღე და ღამე უჭმელად რა გაძლებიებს შე, ცოდვას შვილო! ჰამე ჩემი დაიი, ჰამე, ეგება თლად არ მოგიძულოს ღმერთმა და არაფერი გაგიჭირვოს... ე დასაქცევი ტაროსიც რო ჩვენ ჯინაზე გაგიედა, რა უბედურობაა აწი!.. ი დალოცვილმა ღმერთმა არ იცის ახლა, რა გაჯახირებულ ცხოვრებაში ვართ ამდენი ღარიბი ადამიანები, რომ ამისთანა უბედურ ტაროს გვიმატებს კიდო?!.

— ვაი, ვაი, ვაი, დედა!—კვნესოდა ტერეზია და გვერდზე გადმობრუნებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ, თვითონ ვერ შესძლო, რადგან მეტად დასუსტებული, მძიმე ავადმყოფი იყო.

— მიშველე... დაიი ლიდა! მიშველე... გადმომაბრუნე... ზურგის ძვლები მეტკინა ლოგინზე წოლით პირაღმა...

ლიდა ამ დროს იქვე ყურეში ფუსფუსებდა რაღაცას; იგი მაშინვე მივიდა ლოგინთან, ხელი მიაშველა ავადმყოფს და გადმოაბრუნა.

ქესტის უბრალო სასინათლომ, რომელიც იქვე პატარა, ძველ მაგიდაზე იდგა, სავსებით მიაშუქა ტერეზიას ჩაღრმავებულ თვალებს და გამხმარ-გაყვითლებულ პირისახეს, რომელიც ერთ დროს მოხდენილი, ლამაზი იყო.

— აპა, ახლა ჰამე ერთი ფინჩხა საჭმელი,—კიდევ გაუმეორა ლიდამ ტერეზიას და წინ, ტაბურეტკაზე დაუდო საინით პური და ყველი.

— არა, არ მშია, დაიი... ვერ ვჭამ... გული მიღონდება...

— ჰო და გული იმიტომ გიღონდება, რო გშია, ჰამე, ძალე საჭმელს და მორჩები, ნუ გეშინია.

—- მოვრჩები?!. მე რო მოვრჩები, ისე შენი მტერი მორჩა...

— აპა რაი, შენისანა ავადმყოფები მორჩენილა?!. რავა შეგშინებია, შე გლახაკო!.. ჰამე, გენაცვალე, ჰამე, ერთად-ერთი ფინჩხა ჰამე, გოგო!

— წეიღე... გამაცალე... ახლა ვერ ვჭამ... სხუმის ვჭამ...

მაგრამ ლიდა არ ასრულებდა ტერეზიას მუდარებას და დაჟინებით იმეორებდა: ჰამე, ჰამე, რადგან, მისის რწმენით, თუ რამ გასაჭირი ადგა ტერეზიას,—ეს უფრო უჭმელობით მისდიოდა. არა ერთხელ და ორჯელ უთქვამს ლიდას ნაცნობ ქალებისათვის: ,,საჭმელს რომ ჭამდეს ტერეზია, ამდენხანს მორჩებოდაო. იმდენი ეჩიჩინა ლიდამ ტერეზიას, რომ ამ უკანასკნელმა ერთი ლუკმა პური და ყველი ჩაიდო პირში, მაგრამ მაშინვე ერთი გააძოძგინა და დაუღეჭავად ისევ გადმოჰყარა პირიდან.

— აბა, რა გიყო, გოგო, რა გაგიკეთო იმისანა, რას ჰამე გენაცვალე, ტერეზია!—წუწუნით ჰკითხა ლიდამ და ტაბურეტკიდან საჭმელი აალაგა.

— არაფერი არ მინდა... არ მშია...

— ნუ ამბობ მაგას ტერეზია! რავა არაფერი არ გინდა, აბა უჭმელი ხომ მოკვდები, შე საცოდავო! წახნეიც მასე რო მითხარი, იმან მომიკიდა გულზე ცეცხლი და ჩემი ჯავრით სახლის კარს გადავაწყვეტიე!.. უნდა ეძალო საჭმელს, თვარა მასე არ იქნება, დიდს ხანს არ მორჩები... რაცხა მოიგონებე, შე ქალო, რა უფრო გეხალისება საჭმელად მითხარი და ქვას გავხეთქავ და გიშონი,—რაღაც სევდიანის კილოთი უთხრა ლიდამ ტერეზიას და ცეცხლს, რომელიც ოდნავ ანათებდა ბუხარში მიუჯდა გასათბობათ.

ტერეზიას, რომელიც წინა ღამის უძილო იყო (შფოთვისა გამო), თვალები მიელულა და რაღაც უსიამო ხვრინვა ამოუშვა, ხოლო ლიდა-კი ცეცხლის პირას მწარე ფიქრებმა გაიტაცა... ბევრი რამ შხამ-ნაღვლიანი მოგონებანი გაითვალისწინა, მაგრამ ისეთი მწვავე, ისეთი საგრძნობელი არცერთი არ ყოფილა მისთვის, (რადგან

ბას ძლიერ ავნებსო. დიდის კამათის შემდეგ დაადგინეს: ნისიად გაიცეს საქონელი ერთის თვის ვადით მხოლოდ იმათთვის, რომელთაც უკიდურესი გაჭირვება ნებას არ აძლევს ნაღდად ივაჭროს. თუ-კი რომელსამე წევრს ამნაირად წაღების დროს უპირულობა დაუმტკიცდა ე. ი. ფული აქვს, მაგრამ მაინც ნისიათ მიაქვს, და ფული დანიშნულ ვადამდე—თვემდე შეუძლია იშოვოს, მაგრამ არ შეაქვს, კრედიტი მოესპობა.

იმ გუბში მცხოვრებთ, რომლებიც არ ისურვებენ წევრათ შემოსვლას, კრების დადგენილებით, დუქნით სარგებლობა არ შეუძლიანთ.

გამგეობაში ამოირჩიეს სამი კაცი: ნესტორ წერეთელი, მღ. იოსებ კახაია და მასწავლებელი მ. ბახტაძე. ამათ კანდიდატებათ: ლუკა თათეიშვილი დავით წერეთელი და სვიმონ გეგუჩაძე. საბჭოს წევრებათ: მღ პეტრე ცაგარეიშვილი, სოლომონ წერეთელი, ილარიონ სავანიძე, ერმილე აბზიანიძე, მოსე მოსეშვილი და პავლე გეგურაძე.

რათა საშობაოდ დუქანი მზად იყოს, გამგეობას დაევალა ეხლავე შეუდგეს ფულის მოგროვებას, დუქნის რიგიან მოხელეთა შოვნას და სხვ.

ფულის შემოტანა (11 მანეთია, 1 მანეთი შესასვლელი და 10 მ. პაის ფული) შეიძლება ამნაირად: ვინც ცოტად თუ ბევრად შეძლებულია, ვალდებულია ეხლავე სრულად შეიტანოს თავისი საწევრო ფული, ხოლო ვინც ღარიბია, ნაწილ-ნაწილ შეუძლია ფულის შეტანა. 3 მანეთი ამ ხანად და დანარჩენი 8 მანეთი პირველ ივლისამდე 1904 წ.

ვუსურვებ ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს დღეგრძელობა-წარმატებას.

მიხა.

სად. საჯავახო. ამ პატარა სადგურზედ რომ მოძრაობაა, იმდენი არ არის ქ. გორის სადგურზედაც-კი, მაგრამ დღემდე აქ ფოსტა არ არსებობს, რის გამოც მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან ჩაცვივნულნი ადგილობრივნი მკვიდრნი. ყოველ წერილზე, ღია იქნება, თუ დაბეჭდილ კონვერტში, სამ კაპეიკს ახდევინებენ, რაიცა ცოტა თანხას არ შეადგენს. როდესაც სოფელმა ყრილობა მოახდინა რამდენჯერმე და უნდოდა დაედგინა განჩინება ფოსტის დაარსებაზედ, გამოჩნდნენ ისეთი ვაჟბატონებიც, რომელნიც გაიძახოდნენ: „ჩვენ წერილებს არსად არ ვგზავნით და არსაიდგანაც არ ვიღებთ, მაშასადამე რად გავიჭირვოთ თავი გადასახადებითაო“. ეხლა ამბობენ, რომ აბაშის სოფლის ადმინისტრაციის მეცადინეობით ამ სადგურზედ უკვე არსდება ფოსტაო. სასიამოვნო ამბავია, თუ გამართლდა. ეხლა სამტრედიიდან იღებენ ფოსტას, ასე რომ 10—12 ვერსის მანძილზედ უხდებათ სიარული და ისიც კვირაში ორჯერ, ამიტომ ამ სოფელში დიოგენის ფარანია საჭირო, რომ ვისმე ქართული ჟურნალი ან გაზეთი დაუნახოთ ხელში. ვისაც-კი შევეკითხე: რატომ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს არ იწერთ მეთქი,—მიპასუხეს: „სადგურ საჯავახოში ფოსტა არ არის და სამტრედიიდგან კვირაში ორჯერ უნდა მივიღოთ და ისიც განახევრებული, ზოგი № გაზეთებისა იკარგება; ამიტომ ჩვენც გვეკარგება წაკითხვის ხალისიო“. ვისურვებთ, რომ საწყალ საჯავახოს ღირსებოდეს ფოსტის დაარსება.

დ. ჯაში.

კავკასია

დაღესტანში პეტროვსკიდან თემირ-ხან-შურამდე განუზრახავთ რკინის გზის გაყვანა.

რუსეთი

— პეტერბურგის განახლებულ საბჭოს პირველი კრება 7 ან 8 იანვარს არის დანიშნული. საბჭო, როგორც ამბობენ, თავის თავსმჯდომარედ აირჩევს სენატორს ა. კონისა. ქალაქის მოურავის არჩევანი იქნება მეორე კრებაზედაო.

— არტისტი ქალი მ. სავინა იმდენად ავად გამხდარა, რომ ექიმებს საჭიროდ დაუნახავთ მისი ყირიმში გაგზავნა სამკურნალოდ.

— გარდაიცვალა დ—რი ზოოლოგიისა და წევრი ოდესის ბუნების-მეტყველთა საზოგადოებისა ს. მ. პერეიასლავცევის ქალი.

—6 დეკემბერს თ. კრასილნიკოვმა წაიკითხა მოსკოვში ლექცია: Сѣверный кавказъ и его обитатели.

— 5 დეკემბერს მოსკოვში დაიცვა თვისი დისერტაცია პროფ. რაევსკიმ: კანონმდებლობა ნაპოლეონ მე-III-სა მწერლობის შესახებ.

უცხოეთი

გერმანია. წლევანდელი კრება რეიხსტაგისა მართებლობას არაფრად მოეწონება, რადგან მისი მომხრენიცა და მოწინააღმდეგენიც კარგად გრძნობენ და კვლავინდებურად არა მალავენ, რომ მთელი სახელმწიფო ფინანსიურად დაძაბუნებულია, და რეიხსტაგი ამ ჟამად ვერ განკურნავს. როდესაც კრება დაიწყო, მეორე დღეს სიტყვა უნდა წარმოეთქვა ცნობილსა და მცხოვანს ორატორს, მრავალ მილიონის მშრომელ ხალხის წარმომადგენელს ავგუსტო ბებელს. ეს იცოდა იმპერიის კანცლერმა და ადრე გამოცხადდა კრებაზედ. როდესაც ბებელმა ლაპარაკი დაიწყო, კანცლერი ახლო მჯდომ მინისტრებს ესაუბრებოდა, ვითომ და ბებელის სიტყვა მისთვის საყურადღებო არ იყო. სამხედრო მინისტრი თავდაღუნული იჯდა და ვითომ რაღასაც კითხულობდა. მაგრამ, როდესაც ბებელმა თანდათან ხმა აამაღლა და მართებლობისათვის საჩოთირო საგნებს შეეხო, მაშინ-კი კანცლერმაცა და სამხედრო მინისტრმაც შუბლი შეიჭმუხნეს და ორთავე სმენად გარდაიქცნენ. ფინანსიურად სახელმწიფო ცუდს მდგომარეობაში რომ არისო, სთქვა ბებელმა, ამაში დამნაშავეა პირველად იმპერიის მართებლობა, რომელიც ჯარს თანდათან ამრავლებსო, მერე იმ მოკავშირე სახელმწიფოთა მმართველნი, რომელნიც გერმანიის იმპერიას შეადგენენო და ეწინააღმდეგებიან შემოსავლის კვალობაზე გარდასახადის შემოღებასაო. ამასთანავე დამნაშავეა ის ნაწილი რეიხსტაგისა, რომელიც, თავის დასურის განზრახულებით, არ ეწინააღმდეგება მართებლობას ჯარების გამრავლებაშიო. დამნაშავეა მართებლობა და რეიხსტაგის უმეტესობა კონსტიტუციის მე-70 მუხლის დარღვევაში, რადგან იმპერიის ჩვეულებრივ ხარჯს ვალებით ისტუმრებსო. საშინაო პოლიტიკის განკიცხვის შემდეგ, ბებელი საგარეო პოლიტიკასაც შეეხო. რას ერევით შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკაში, რა სარგებლობას მოელითო. ცძაო-ჩეოუ 70 მილიონ მარკად დაუჯდა გერმანიას. იქ ვითომ ვაჭრობას ვაძლიერებთო, ნამდვილად-კი არც არის ვაჭრობა და არც მოსალოდნელიაო. რაღაც ,,ჭუჭყიან ბუდეს'' გამო გერმანია ლამის ჩაითრიონ საფათერაკო საქმეში, რომელიც გერმანიას უფრო დასცემსო. რას აპირობს რუსეთი მანჯურიაში —ეგ გერმანიას არ შეეხება, გერმანია მხოლოდ ზნეობით უნდა ეხმარებოდეს იაპონიას, ინგლისს და შეერთებულ შტატებსაო. შემდეგ ორატორი რუსეთს გადასწვდა და რაღაც მწავე აზრები წარმოსთქვა, რაც სადეპეშო სააგენტოებმა ყრუდ გვაცნობეს. დაწვრილებით ცნობებს რუსეთის გაზეთებში ვერა ვპოვებთ. უთქვამს-კი, სხვათა შორის, ნუ დაივიწყებთ, რომ თუ რუსეთის დათვი შორეულს აღმოსავლეთში დამკვიდრდა, მაშინვე მოინდომებს თვისი მძიმე თათი ცძაო-ჩეოუს დაადოსო. ეს არ უნდა მოხდეს, ეხლავე უნდა ხელი შევუშალოთო.

ორატორმა აღნიშნა, რომ სამხედრო უწყებაში დაბალი ხარისხის ჯარის კაცებს აწამებენო. ამ თოფ-ზარბაზნისა და ჯარის ტანთსაცმელების გადაკეთებ-გადმოკეთებამ ხომ ხალხს სული შეუხუთაო. აღლუმები და სამხედრო დღესასწაულები დიდს ფულსა ჰყლაპავენ და თუ ესე გაიფლანგება სახელმწიფო შემოსავალი, რასაკვირველია, არა ფული არ გაგვიძლებსო. რატომ პირდაპირ გარდასახადს არ მოუმატებთ? ინგლისში ეს გარდასახადი შეადგენს 786 მილიონ მარკას, პრუსიაში კი მხოლოდ 190 მილიონს. ეგევე ითქმის სამემკვიდრო გარდასახადზე, რომლითაც ინგლისს შემოსდის 200 მილიონი მარკა, საფრანგეთს - 130 მილ. და პრუსიას მხოლოდ 9—10 მილიონიო. რეაქციონერები ისეთს გარდასახადების შემოღებას აპირობენ, რომლებიც მხოლოდ ღარიბ ხალხს აწვებაო. ტარიფების იმედიც არის და წარმოთქმული იყო, რომ სავაჭრო ხელშეკრულება უცხო სახელმწიფოებთან ორს კვირაში შესრულდებაო. საქმით-კი არა გაკეთებულა-რა. რუსეთთან მოლაპარაკებას ნაბიჯიც არ წაუდგავს. ან რა ძალა ადგია, რომ დაგეთანხმდეთ? თავის საქონელს სხვა ბაზრებსაც ადვილად უპოვის, გერმანიის გარდა. ჩვენ-კი, თუ არ რუსეთის ბაზრები, სხვაგან ვერ გავასაღებთ ჩვენს ნაწარმოებსაო. რუსეთს ცდა შეუძლიან, ვიდრე მეზობლები ჭკუაზედ მოვლენ, ჩვენ-კი მოლოდინი დაგვღუპავსო. ესეთივე უკმაყოფილო დამოკიდებულება აქვს გერმანიას სხვა სახელმწიფოებთანაც. ინგლისში გადის ჩვენი საქონელი 965 მილიონ მანეთისა და შემოდის 614 მილიონისა. თვით გერმანიამ დასაჯა თავის თავი ბაჟებითაო.

ბოლოს ბებელი კიდევ დაუბრუნდა რუსეთის პოლიტიკას და, როგორც „ნოვ. ვრემია“ იუწყება, გაიმეორა ის მითქმა-მოთქმა, ვითომც რუსეთი ხელს უწყობდეს სისხლის ღვრას ბალკანეთის ნახევარკუნძულზედ, ბრალსა სდებდა სტამბულოვისა და სერბიის მეფე დედოფლის დახოცვაში და სხვა.

გრაფ ბიულოვმა ცხარე პასუხი გასცა ბებელს ყველა საკითხზე და მეტადრე რუსეთის პოლიტიკის შესახებ, როგორც დეპეშიდგან უკვე ვიცით.

ნარკვევი

„რუსკ. ვედ.“-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი ჰერბერტ სპენსერის შესახებ ბ-ნ ა. ჯიველეგოვისა. ავტორი ასე ასკვნის თავის აზრს:

> შეიძლება სხვა-და-სხვა აზრისანი ვიყვნეთ სპენსერის ფილოსოფიის შესახებ. შეიძლება ვსთქვათ, რომ სუსტია მისის მოძღვრების ეს და ეს ადგილიო, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ სპენსერს, როგორც ბუნების საიდუმლოთა მკვლევარს, როგორც მეცნიერებას მრავალ გვარ დარგის მცოდნეს და ჭკუით ბუმბერაზს, სწორედ ბადალი არა ჰყავდა. მარტო ეს არ არის მისი ღვაწლი და დამსახურება კაცობრიობის წინაშე. ის იყო შვილი თავისუფალის ქვეყნისა და ამიტომ დიდად აფასებდა ადამიანის პიროვნებას და მის თავისუფლებას. ამ შემთხვევაში იქნება გაზვიადებაც იცოდა, მაგრამ თან ისიც არ ავიწყდებოდა არასოდეს, რომ განვითარება პირადის ცხოვრებისა, გაუმჯობესება საკუთარის «მეა-სი» — თითქმის ნახევარ საქმის გაკეთებააო. ამასთანავე სპენსერი ითხოვდა ითოეულის ადამიანისაგან ზრუნვას თვისთა მოძმეთა განვითარებისა და წარმატებისათვის. და აი სწორედ ეს კილო არც ერთხელ არ დამცხრალა მის მოღვაწეობის განმავლობაში. იზრუნე შენის საკუთარის განვითარება-გაუმჯობესობისათვის, მაგრამ არ დაგავიწყდეს შენს გარშემო მეგობნი, არ დაგავიწყდეს მომავალი შთამომავლობაო! ეგ ჭანგი პირადისა და საზოგადოებრივის განვითარება—გაუმჯობესობისა ეწვეოება ყურში ყველას, ვინც სპენსერის ფილოსოფიას სწავლობს. სწორედ ეს არის ძვირფასი მის «სისტემაში».

ჭკუისა და გონების ბუმბერაზობით ავტორი ადარებს სპენსერს არისტოტელსა, დეკარტსა და ლეიბნიცს.

სასამართლო

ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში 26 ნოემბერს გაირჩა და 28 გამოცხადდა სასამართლოს განაჩენი მღვ. ელისე კვანჭახაძის და დიაკვან მძინარაშვილის და სოფელ დიცის მცხოვრებლების საქმის შესახებ; ეს საქმე ინტერეს მოკლებული არ არის და ამისათვის გაცნობთ მკითხველს.

მღ. კვანჭახაძეს დიაკვნითურთ ცხინვალის სასამართლოში შეუტანია სარჩელი თავის მრევლზედ, სოფ. დიცის მცხოვრებლებზედ, რომ იგინი ეს შვიდი წელიწადია დრამას სრულიად არ გვაძლევენო. უწმინდესის სინოდის დამტკიცებით, ამბობენ მომჩივნები, დიცის მრევლი გაიხსნა იმ პირობით, რომ ყოველს კომლს კრებულისათვის წელიწადში კოდი პური, ნახევარი კოდი ქერი ან სიმინდი, თითო ქათამი, თუნგი ღვინო და ფულად თითო მანეთი ეძლიათ, და კომლზედ კაპი მოეხმარებიათ. მაგრამ რა ჯამაგირი დაგვენიშნათ, 525 მან. მრევლმა ქათამი, ღვინო, თითო მანეთი და მუშის მოხმარება მოგვისპოთ. მღვდელს მედავითნითურთ შეუფასებია ყველა ესენი (ქათამი 30 კაპ., ღვინო 40 კაპ, მუშა 30 კაპ.) და მრევლს 1456 მანეთს ედავებოდა ამ საქმის გამო მოწმებისთვისაც ჩამოურთმევიათ ჩვენება; ზოგს ქათამი დაუფასებია 7—25 კაპ. მუშა დღეში 30—40 კ. საინტერესოა ერთი მოწმის, ადგილობრივ მემამულის გ. მ—ს ჩვენება: ჩემი მეცადინეობით, ამბობს ეს მოწმე, გაიხსნა სოფ. დიცში მრევლიო... 1896 წ კრებულს დაენიშნა ჯამაგირიო. ამ წლამდის და შემდეგაც გლეხებს ბევრჯელ შემოუჩივლიათ ჩემთვის: მღვდელი გვავიწროვებს, ხშირად თვრება, ამ ბოლოს ხანს სოფელში აღარ სცხოვრობს, არამედ ცხინვალში გადასახლდაო, ჯვრის საწერს ბევრს იღებს—12 მ. სამკვდროს—3 მან. პანაშვიდისას 2 მ. ქათამს თვითონ არჩევს, მრევლში იშვიათად დაიარება, გვლანძღავსო და სხვ. მოსამართლეს გარჩევის დროს მიედო მხედველობაში სინოდალურ კონტორის ბრძანება, რომელშიც ნათქვამია, უკეთუ მრევლი კრებულს სარჩოვრამდის მიიყვანს მრევლი გაუქმდებაო, აგრეთვე კრებული ჯამაგირის დანიშვნა—525 მანეთამდისა, რომელიც, მოსამართლის ფიქრით, კრებულს იმიტომ-კი არ დანიშვნია, რომ მას მრევლის წინაშე რამე მოღვაწეობა მიუძღოდეს, არამედ, რათა გლეხებს ტვირთი დრამის გადახდა შეუმსუბუქდეს, აგრეთვე ის, რომ მომჩივრებს თვითონვე არა სწამთ თავიანთ სარჩელის საფუძვლიანობა, რაც მტკიცდება იქიდგან, რომ მომჩივნებმა, განაცხადეს შერიგების სურვილი 600 მან., უარი უთქვამს მოსამართლეს მღვდელ დიაკვნისათვის. ეს განაჩენი განუსაჩივრებიათ მღ. კვანჭახიძეს და მის დიაკვანს ოლქის სასამართლოში, რომელმაც უყურადღებოთ დასტოვა მათი სარჩივარი.

წერილები

რედაქციის მიმართ

I.

ქართულ საზოგადოებაში ბ-ნ თ. ჟორდანიას გაუვრცელებია ხმა, ვითომც რაღაცა ჯილდოს მიღების გულისათვის მე მიმერთმიოს, ვისდამიც ჯერ არს, მოხსენება, რომ მეგრული ენა სრულებით დამოუკიდებელია ქართული ენისაგან და მეგრელებს არ ესმით ქართული. ყველაფერი ეს ცილის წამებაა. ამგვარი აზრისათვის არასოდეს არ მიმიცია ალაგი ჩემს გულსა და გონებაში და ვთხოვ ბ-ნ ჟორდანიას ამავე გაზეთის საშუალებით დამამტკიცოს საბუთებით ის, რაშიაც იგი ბრალსა მდებს. მე-კი არ შემიძლია არ მოვაგონო თვით ბ-ნ ჟორდანიას მისი საქციელი, რომელიც მან ჩაიდინა ქ. ფოთში ამ წლის აპრილის ბოლო რიცხვებში და რომლის მოწამენიც ბძანდებოდნენ: ნ. ნიკოლაძე, ი. ფანცხავა, კ. მიქაბერიძე და მრავალნი სხვანი.

ეპისკოპოსი ალექსანდრე

II.

1891 წელს, სარატოვის ეპისკოპოზის განკარგულებით, დავინიშნე წინამძღვრად ახალქალაქის მაზრის სოფელ ხიზაბავრის ქართველ-კათოლიკეთა ეკკლესიისა. სოფელსაც და ეკლესიასაც ბევრი რამ ეჭირვებოდა და ბევრი რამ აკლდა. მცხოვრებთათვის არც რიგიანი სკოლა, არც რამ სწავლა, არც გაგება რისამე არსად იყო. ცხოვრებდნენ უმეცრებასა და სიბნელეში. ეკკლესია ჰქონდათ ტალახისა. ძალიან უბრალო შენობა იყო და დაძველებული ისე, რომ არ შეიძლებოდა თითქმის მისი ეკკლესიად წოდება; მასთანავე სასწავლებელი იყო ძალიან დაძველებული და ძალიან პატარა. მეტი რა ღონე იყო, უნდა თავი გამეწირა და ვცდილიყავ, მეხმარა ყოველნაირი საშუალება ყოველ ამის გასაუმჯობესებლად. მაგრამ რით, რა წყაროთი, როცა თითქმის სულ არაფერი

წარსულს ეკუთვნოდა), როგორიც იყო ტერეზიას ავადმყოფობა. ,,ჩემს მეტი ჭირისუფალი არავინ ყავს და რო მოკვდეს, რა მეშველება, როგორ უპატრონო და რითიო‘‘,—ფიქრობდა ლიდა.

ვინ იყო ტერეზია და როგორ შეიქნა იგი ასე უჭირისუფლოდ? გავიცნოთ უფრო დახლოვებით, მაგრამ ცოტა უკან დავიწიოთ, ჩემო მკითხველო.

II

— კაცო! რას ფიქრობ ამ ბაღანეის გულისთვის ახლა, აგერ ამხელა დედაკაცი შეიქნა და რამე გზას უნდა ეწიოს; თუ აბარეფ კლასში, მიაბარე ბარეღამ დრო მიუდის,—უთხრა ერთ საღამოს მუშაობიდან ახლად მოსულ ქმარს—თედორეს (ტერეზიას მამა) მაკრინემ.

— დეიცა ქალო, სული ნუ ამომწვალე პირში მა გოგოის გულიზან; მაგის მეტი სადარდო არაფელი მაქ ახლა, თუ რავა, ყოველთვის მაგაზე მელაპარაკები?!

— კაცო! დროზე უნდა დროზე პატრონობა, თუ პატრონი ხარ, აგერ ამხელეი დედაკაცი შეიქნა და აწი გათხოვებაც ქე დაჭირდება მაგას.

— დაჭირდება და დაჭირდეს; გამოჩდება ვინცხა ღვთიან-მადლიანი კაცი, წეიყვანს უზითვოთ და გადავრჩები მაგის ხარაფორთსაც, როგორც ი უფროსვანისას ისთე.

— რავა, კაცო! ტერეზიასაც არაფელი გინდა ასწავლო?! ისე რომელი რიგიანი კაცი ითხოვს შენ გომბიას, თუ არაფელი ასტავლე?! ყრუსა და უცოდინარს დღეს ვინაა რო თხოულობს?! ან სად გაქ შენ იმდენი შეძლება, რო ბევრი მიცე და იმისთვინ წეიყვანოს ვინმე რიგიანმა კაცმა?!.

— რო არაფელი მაქ, მეც იმიზან ვარ გაჩერებული, თვარა შენი ოქმა არ მინდა, მაგას ამდენხანსაც უნდოდა კლაში წაყვანა...

— აპა რას ფიქრობ კაცო? ის ორი უფროსვანი გოგოები, უსტავლელი და უზითვო რო იყვენ, იმისანა უბრალო, ღარიბ კაცებს მიათხოვე, რო ჭადი ვეღარ აჭამეს და იმის გამოისობით გაპლუტდენ და გეირყვნენ, სით არიენ—ცოცხლები თუ მკვდრები, არაფელი არ ვიცით და ისთე გინდა ტერეზიასაც რო მოუვიდეს?!.

— რა უნდა ვქნა აპა, მე მაგის ფულები ვიხადო-კი არა, ჭადის ფული ვერ მიშოვია... დღე და ღამეს ვასწორეფ, ხვლებზე ტყავს ვიძროფ და მეტი აღარ ვიცი რა ვქნა, სიდგან რა ვიშოვო?..

— რა ქენი, კაცო და როგორც სხვები შენი მეზობლები იქცევიან, ისე მეიქეცი შენც. ეს კაცები ვალს იღებენ და ისე იჩენენ ხალხში თავს, შვილებსაც ზდიან და თვითონაც ქე ცხოვრობენ ლამაზათ.

— აპა, სწორეფ, მაგის გულიზან ვალებს ევიღეფ ახლა და ერთი ნაქოხარეი მერე მევალეებმა უნდა წამართვან, რა ჭკვიანი ხარ!

— ქე ვილანა გყავს თუ იცი მეტი საპატრონო, ეს ერთი ძლაბია და თუ რიგიანათ გოუძღვებით, მერე სიბერის დროს ისევლე ჩვენ გამოგვადგება, გვიპატრონეფს. უწინამძღვროთ რამე, მშობლები ვართ და რიგიან გზაზე დავაყენოთ, თვარა ბოლოს ისე თავის მოსაჭრელი იქნება ჩვენი, როგორც ი უფროსვანია.

— სიღარიბის ბრალია ყოლიფერი.. მარა ღარიბი რო ვარ, ჩემი ბრალი არ არის, მე ზარმაცი არა ვარ, ვმუშაოფ, რაც შემიძლია, და წახანე გითხარი მისი ხელი არ იყოს, დღე და ღამეს ვასწორეფ შუბლზე ჭირის ოფლს ვიხოცავ და მაინც ღარიბი ვარ და ღარიბი... არა მაქ და რა უყო ახლა, ყოლიფერი ღვთის ნებაა... მე ზოგიერთებივით ქურდობასა და ყაჩაღობას ხო ვერ ვიზამ და ჩემი საკუთარი მარჯვენით მეტი ვერ ვიშოვე... ი დალოცვილი ღმერთი თუ მიცემს კაცს, ერთათ მიცემს, თუ არა და სულ არ მიცემს არაფელს!..

— კაცო! რა უყო, რა უყოს-კი ნუ იძახი, რაცხა მევიფიქროთ: ან ვალი ევიღოთ, ან პეტერეი ადგილი მოვიკლოთ ამ ეზოზე გავყიდოთ და ისე უპატრონოთ მა ბაღანას; ყველეის ბაღნები დეიარებიან კლასში, რაცხას სტაულობენ და ჩვენ საქნობამდი ვიყოთ ასე წყალ-წაღებულნი?!

— რას ამბოფ დედაკაცო!—წყრომით შეუტია თედორემ ცოლს.—ვალი რომელცხეი მქონდა იმის გადახდას ძულა მევცსტარი და ახლა კიდო ვალს ავიღეფ?! ან ადგილი სად მაქ გასაყიდელი, რაცხა ერთი კვალი მიწა არის სახთან და ისიც რო გავყიდო, მერე სად დავადგა ფეხი?!

— გადაგიწყდა, გადაგიწყდა შენ ბარეღამ, რა უსაშველოთ მე შენ გადამიწურავ წყალს ყოველთვის, როცხა მა ბაღანეის გულიზან რამეს ვეტყვი... ოი, ის დღე რატომ არ დეიქცა, რაცხა დღეს მე შენ კადეგეკიდე და შენი ბედის გავხთი. ფული შენ არა, ვალის აღება და რამეის მოხერხება შენ არა, ადგილის გაყიდვა შენ არა, ფუი ამისანა სიცოცხლეს ბარეღამ!.. არა, სანამდი გინდა მე უბედურ დღეზე გაჩენილო, რო ასე სიღარიბეში იყო გაუნათლებლათ? ვერ უყურეფ შენ მეზობლებს რავა ცხოვრობენ? შვილებსაც ქე ზდიან, კაი სახლებსაც ქე იშენებენ, ტან-ფეხზედაც ათასფერს იცვამენ და მტერშიც ჩითებიან და მოყვარეშიც...შენსავით ჩაჯოჯოხეთებულათ-კი არ ცხოვრობენ აპა!..

— ვინც კარგათ ცხოვრობს, ალბათ იმგენს ბევრი ფული აქ, მე არა მაქ, ღარიბი ვარ და რა უყო ახლა...—რაღაც ულიმღამოდ სთქვა თედორემ და დაჩუმდა.

ალ. გერასიმიძე.

(შემდეგი იქნება)

არა ჰქონდა სოფელს. ჯერ დავიწყე ეკკლესიის ზღუდის დამტკიცების საქმე. შემდეგ ვსთხოვე სარატოვის ეპისკოპოზს ნება-რთვა ფულის მოკრებისა; მანამ ამ ნება რთვას ვიშოვნიდი, ჩავუარე საზიარებელი ეკკლესიისა. ექვსის თვის შემდგომ მივიღე ნებართვაც, დავიარე რუსეთი და კავკასია, მოვკრიბე ფული, დავამთავრე ეკკლესია, მაგრამ 3000 მანეთამდი ვალი დამრჩა. ამ ვალის გამო მოვიწადინე საღვარ-გარედ წასვლა. წაველი სტამბოლსა და რომში. ფული ვერ ვიშოვნე მაგრამ ეკკლესიის სამკაული: ხატები, შესამოსელი, ბარძიმები და ძეგლები, რაც საჭირო იყო, ყველა ვიშოვნე; დავბრუნდი იქიდან და კიდევ მივმართე ქართველ საზოგადოებას შეწირულებისათვის. ვალები გავისტუმრე და ეკკლესიის მხრივ შევიქმენ მოსვენებული.

შემდგომ დავიწყე წყაროების მოძებნა სასწავლებლის განახლებისათვის, რადგანაც სასწავლებლის შენობა სიძველის გამო გაუქმებული იყო; ამ სასწავლებლის ასაშენებლად ვსთხოვე შემწეობა ბ-ნს სტეფანე კონსტანტინეს ძეს ზუბალაშვილს, რომელმაც დაუზარებლად მიწყალობა ათასი მანეთი და ორასი მანეთიც ბ. დ. მუღაშავმა. ფანჯრებისა და კარების ყოველი სამკაული შემოსწირა ქუთაისის მცხოვრებმა ბ-ნმა სტეფანე ფეიქაროვმა, ღირებული 50 მანეთად. ეს სასწავლებელი თითქმის მოთავებული არის, მაგრამ ცოტა რამ კიდევ აკლია ფულის უქონლობის გამო. ამიტომ ვსთხოვ ქართველ საზოგადოებას, აღმოგვიჩინონ შემწეობა და დაგვეხმარონ: რათა ეს საწყალი, სიბნელეში მყოფი ხალხი ამ სოფლისა, რომელიც ერთად-ერთია მთელ ჯავახეთში, ჩვენს საქართველოს არ დაეკარგოს, არ დაეკარგოს ამოდენა ხალხის სიმრავლე. ამ სოფელში არიან 2,000 სულამდე. იმედია, ქართველი საზოგადოება გულგრილად არ მოეკიდება სკოლის საქმეს და, ვისაც რამდენი შეუძლიან, იმდენს შემწეობას აღმოუჩენს.

ხიზაბავრის ეკკლესიის მღვდელი
მიხეილ ვარძელაშვილი

„ივერიის" ფოსტა.

ბ. ახალციხელს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 დეკემბერი.

პეტერბურგი. ნაფიც ვექილთა რჩევის თავმჯდომარე გერარდი გარდაიცვალა.

ლონდონი. საქმის ვითარების მცოდნენი დააფიქრა მოლაპარაკების შედეგმა აღმოსავლეთ აზიის შესახებ. ფიქრობენ და შიშობენ, რომ რუსეთი წრეს გადავიდა და მოლაპარაკებით მორიგება შეუძლებელი-დაათ. ეჭვს გარეშეა, რომ იაპონიას არას გზით არ შეუძლიან დასთანხმდეს რუსეთის წინადადების დედა-აზრს, რადგან იგი სრულიად ეწინააღმდეგება იაპონიის მოთხოვნილებას. ამასთანავე ცნობილია, რომ რუსეთი თითქო საომრად იწვევს, და ამიტომ მომავალი უფრო დაიჩრდილა, ვიდრე აქომდე იყო, თუმცა არ ითქმის, რომ ნაცადია ყველა საშვალება, რომელიც დიპლომატთა ხელთ არის.

პეკინი. იაპონიის მისიამ ოფიციალური ცნობა მიიღო, რომ უკანასკნელი პასუხი რუსეთისა იაპონიის მოთხოვნილების შესახებ იაპონიას არ აკმაყოფილებსო.

სოფია. ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღე დიდის ამბით იდღესასწაულეს. მთავარმა გაუგზავნა მის იმპერატორებითს უდიდებულესობას მილოცვის დეპეშა და პასუხიც მიიღო ხელმწიფე იმპერატორისა.—მაკედონელ ოსმალებმა მიიღეს ცნობა სტამბოლიდგან, რომ შესაძლოა რეფორმების შემოღება გადიდოს და სრულიად უარ-ყოფილ იქმნასო. კვალად დიდი მზადებაა საომრად. ოსმალნი სამუდამოდ არ დაწყნარებულან. სიტყვის ნაწილმა მაკედონელთა საქმის გამო და შესახებ ბულგარიის გაკიცხვისა, ღრმა და მძიმე შთაბეჭდილება იქონია, გაზეთები ალაპარაკა. მწუხარებას აცხადებენ, რომ ავსტრიის მინისტრს ვერ გამოურკვევია ბულგარეთის მოქმედება და ხალხის საჭიროება.

კიშინევი. ოდესის სამოსამართლო პალატამ გაარჩია ხალხის დაუსწრებლად კიშინიოვში ებრაელთა წინააღმდეგ მომხდარ უწესოების საქმე ამ წლის აღდგომის დღეებში და გამოაცხადა რეზოლიუცია, რომლითაც გრეხიუსი და მაროზიუკი, მკვლელობაშიაც დამნაშავედ ცნობილნი, კატორგაში გაიგზავნებიან 7 და 8 წლით, 22 ბრალდებული—საპატიმრო რაზმში ერთის წლიდგან ორამდე და 6 თვით დაპატიმრებულ იქმნებიან, 12 გაამართლეს. ყველა სამოქალაქო საჩივარი სასამართლომ უარ-ჰყო.

გომელი. სამრეკლო სკოლების დასაარსებლად და გასაძლიერებლად გომელის მაზრაში, საეპარქიო სასწავლებელთა საბჭო თხოულობს მომავალ 1904 წლისათვის 44,000 მანათს. გომელში 4 სკოლა უნდა დაარსდეს, მაზრაში არის 152 სკოლა 8,000 მოსწავლით.

სეული. ჩემულპოსა და მოზამპოში შეტაკება მოსდით იაპონელებსა და კორეელებს. იაპონელ ტელეგრაფისტებს უჭირავთ ხელში ტელეგრაფი სეულიდან ფუზამდე. ამბობენ, იაპონელთა ჯარი გადმოსულა გემებიდან წესიერების დასაცველად, ვითომ რუსეთის ნება-ყოფლობით.

სტამბოლი. კვალად ამბობენ, რომ მთავარ-ვეზირი სამსახურს თავს ანებებსო. ფერიდ-ფაშას მოადგილედ ასახელებენ სამუშაოთა მინისტრს ზიხნა-ფაშას და სმირნის ვალის ქიამილ-ფაშას.

ოტავა. მართებლობა ჰფიქრობს მოლაპარაკება აღძრას ნიუ-ფაუნდლენდისა და კანადის შეერთების შესახებ და გრენლანდიის ყიდვაზე დანიისაგან.

მადრიდი. ინფანტა მარიამ დელ პაცი, ლიუდოვიკ ბავარიელის მეუღლე, აქ მოვა იანვრის დასაწყისში. მიზეზი მოგზაურობისა ის არის, რომ მეფე ალფონსის დანიშვნა უნდათ ინფანტის ერთ-ერთ ქალზედ.

9 დეკემბერი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ლატიშური გაზეთი „დეენას ლაპა", რომელიც ქალაქ რიგაში გამოდის, რვა თვით შეაყენა.

ლონდონი. საქმეთა მდგომარეობა აღმოსავლეთ აზიაში არ შეცვლილა. მდგომარეობა ისევ კრიტიკულია რადგანაც იაპონიამ რუსეთის პასუხი არ მიიღო, ითხოვს, რომ რუსეთმა ერთი კიდევ გადასინჯოს თვისი წინადადებანი. თუ ამაზე შეთანხმება მოხდა, მაშინ ამ ორ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკები შესაძლებელი შეიქმნება.

სოფია (ოფიციალური წრეებიდამ). კრებაზე ფინანსთა მინისტრმა სამთავროს ფინანსიური პოლიტიკის შესახებ წარმოსთქვა სიტყვა. ბიუჯეტი რვა მილიონამდეო მინისტრმა უჩვენა წყაროებზე, საიდამაც შესაძლო იქმნება დაიფაროს ეს მომეტებული ხარჯი და გამოსთქვა იმედი, რომ მილიონ-ნახევარი დარჩებაო. ახლად დანიშნული ბულგარეთის საკომერციო აგენტი წავიდა ბიტოლიას. სულთანის კომისარი ფერუხ-ბეი სტამბოლს წავიდა.

ტოკიო. კორეაში 60 სამხედრო ინჟენერი გაგზავნეს ნაცვლად იმ სამოქალაქო ინჟენერებისა, რომელნიც აკეთებდნენ იაპონიის ტელეგრაფსა. ამბობენ, რომ ამ გარემოებას სამხედრო მნიშვნელობა არა აქვსო.

ვლადივოსტოკი. 5 დეკემბერს „ცენტრალურ სასტუმროში" აქაურმა ქარხნის პატრონმა პერესკოპოვმა, რომელსაც მიხმანმა კლიმოვმა მოქმედებით შეურაცყოფა მიაყენა, სამჯერ ესროლა კლიმოვს რევოლვერი და იქვე მოჰკლა.

პორტ არტური. სამხედრო გემები, რომელნიც ჩემულპოში იყვნენ გაგზავნილნი იაპონია-კორეის ინციდენტის გამო პორტ-არტურში დაბრუნდნენ, იქ მხოლოდ კრეისერი „ბოიარინი" დარჩა. კორეის იმპერატორმა ადმირალი სტარკი დიდებულად მიიღო.—„ნოვი კრაი" გადმოგვცემს, სანაპირო ყარაულისა და ხუნხუზების ბრძოლის დროს სოფელ ვაფიკთან, აღმოსჩნდა, რომ ხუნხუზებში მილიციაც იღებდა მონაწილეობას. რადგანაც ჩინეთმა არ შეასრულა 16 აგვისტოს 1896 წ. დადებული ხელშეკრულობა, რუსეთი იძულებულია, მანჯურიიდამ გამოდევნოს ის ბრბონი.

პეტერბურგის ბირჟა 25 ნოემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	$37,32^{1}/_{2}$
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	$37,62^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	$5-6^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$99^{1}/_{2}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^{1}/_{8}$ გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	$457^{1}/_{2}$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	342 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$290^{1}/_{2}$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
$4^{1}/_{2}$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	$92^{1}/_{8}$ წვ. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27).

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ოლგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, [illegible] შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება საათზედა იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი $1^{1}/_{2}$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთ გზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს	40 „
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალის, საპყრობილემდე	80 კ. „
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 კ.
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

განცხადებანი

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი

ადრესი: U. 111 an das
Annoncen-Bureau des Merkur
in Mannheim Meerfeldstrasse, 44.
(50—27)

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებიან სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ამერიკულ ვაზის სანერგეში
კლო-ქვურულში

დაიწყო გაყიდვა დამყნილ დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე ვაზის რქები საუკეთესო ჯიშისა, როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდიისა, შამპანიისა, რეინისა და სხვა. მრავლად არის როგორც რქა, ისე დაფესვიანებული გიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშები სამყნობად და დედა ვაზისთვის მშრალ, ნოტიო, მაგარ, მძიმე და სხვა ნიადაგისათვის. სანერგეში 700 სხვა-და სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები და ახსნა უსასყიდლოდ.

შემთხვევით გვაქვს 20,000 ორი წლის ნამყენი რუპესტრისზე „Cattaratu" კატარატუ, ჯიში, რომელიც იძლევა შესანიშნავ ღვინოს «მარსალას».

ადრესი: წერილებისა და დეპეშებისათვის:
В. Тьебо, Кутаисъ.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი"
(წელიწადი მეთხუთმეტე)

გამოვა 1904 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

„ჯეჯილში" მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. იანვრიდამ დაიწყება ბეჭდვა ინგლისელ მწერლის მარკ ტვენის მოთხრობისა: ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი. წლის განმავლობაში სხვა სტატიებთა შორის იქნება დაბეჭდილი ექვსი სტატია ჩვენი ისტორიიდან.

ხელის მომწერლებს დაურიგდება პრემიათ დასურათებული ზღაპრების კრებული.

ჟურნალი „ჯეჯილი" ტფილისში ღირს 4 მან. ქალაქ გარედ 5 მ. ცალკე ნომერი 50 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისში „წერა-კითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში და თვით „ჯეჯილის" რედაქციაში (Артилерійская ул. № 5).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, ред. груз. дѣтскаго журнала Джеджили.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ВОКРУГЪ СВѢТА.
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛЪ.
ВСѢ ПОДПИСАВШІЕСЯ НА 1904 ГОДЪ ПОЛУЧАТЪ:

50 №№ художественно-литературнаго журнала. Романы.—Повѣсти.—Путешествія.—Иллюстраціи.—1.200 столбцовъ текста.
ПОЛЕЗНЫЯ СВѢДѢНІЯ по общедоступной медицинѣ и гигіенѣ.—По техникѣ.—По домашнему хозяйству.—По садоводству, цвѣтоводству и огородничеству.—Игры и забавы.—Иллюстраціи.

12 ВЫПУСКОВЪ МОДНАГО ЖУРНАЛА.

12 ВЫПУСКОВЪ ВЫШИВОКЪ И ВЫПИЛИВАНІЙ.

16 КНИГЪ ИЛЛЮСТРИРОВАННАГО СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ ВАЛЬТЕРА СКОТТА.

8 КНИГЪ ИЛЛЮСТРИРОВАННАГО СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ ПИСАТЕЛЯ КОНАНЪ-ДОЙЛЯ.

БОЛЬШОЙ ТОМЪ ВЪ 320 СТРАНИЦЪ
БОГАТО ИЛЛЮСТРИРОВАННОЙ ИСТОРІИ
ЦАРСТВОВАНІЯ
ИМПЕРАТОРА АЛЕКСАНДРА II,
со множествомъ портретовъ и рисунковъ.

ОСВОБОЖДЕНІЕ КРЕСТЬЯНЪ.
Картина акад. К. В. ЛЕБЕДЕВА,
размѣромъ 17×24 вершка.

ЦѢНА на годъ съ доставкой и пересылкой 4 Р. То же съ картиной 5 Р.
Разсрочка: при подпискѣ 2 р. къ 1 апрѣля 1 р. къ 1 іюля 1 р.

Адресъ: Москва, Петровка, д. Грачева, № 21, редакція журнала „Вокругъ Свѣта".

Журналъ издается Т-вомъ И. Д. Сытина.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.
ქაჯანა
მოთხრობა ნ. ლომაურისა ფასი 5 კაპ.

2.
მლი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა" № 63.

შოთა რუსთაველის
ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

Дозволено цензурою тифлис 9 декабря 1903г. Типографія Е. И. Хэладзэ Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებითი რედაქტორი ბ. ჟღენტი გამომცემელი ხარაჯიშვილი